შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (9.692)

25 ივლისი – 1 აგვისტო 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წიგნები – ივლიტა ჯიბუტის ბიბლიოთეკას

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებმა წიგნები შეაგროვეს, რომელსაც ისინი 13 ივნისის სტიქიის შედეგად გარდაცვლილი ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცემენ. აქციაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საკრებულომაც მიიღო. ახალგაზრდა კოლეგებს ქველმოქმედებისათვის წიგნები პირადად საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა და აპარატის თანამშრომლებმა გადასცეს.

ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, გიორგი კეკელიძის ინიციატივით გაიხსნა.

დენი გაძვირდა!

გაუძვირდება თუ არა დენი დედოფლისწყაროელებს?!

სემეკის გადაწყვეტილებით, რეგიონების მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი დღგ-ს გარეშე, 3,348 თეთრით გაძვირდა. მარეგულირებელმა კომისიამ არ გაითვალისწინა "ენერგო-პრო ჯორჯიას" მოთხოვნა, რომ ტარიფი 4,8 თეთრით გაზრდილიყო, თუმცა ენერგეტიკოსების შეფასებით, გადასახადის 3,3 თეთრით ზრდაც ლარის გაუფასურებით გამოწვეულ დანაკარგთან შეუსაბამოა. ტარიფის დაბალანსება, რატომღაც, შეუძლებელი აღმოჩნდა, როცა ლარის დევალვაცია გავლენას მხოლოდ თბოსადგურების გამოშვებულ ელექტროენერგიაზე ახდენს. ჰესების უმეტესმა იაფმა ელექტროენერგიამ თბოელექტროსადგურებისა და იმპორტის ძვირი დენი "ვერაფრით დააბალანსა". 2014 წელს თეს-ების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 19,5%-ს შეადგენდა, ხოლო იმპორტის წილი 8%-ს არ აღემატებოდა. 2013 წელს ეს მაჩვენებელი 5%-ზე ნაკლები იყო, ხოლო თბოელექტროსადგურების წილი 17,5%-ს არ გასცილებია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ენერგომოხმარების 80%-მდე ჰესების მიერ წარმოებული 2-თეთრიანი დენია, ხალხს ყოველი კილოვატი 3,34 თეთრით გაუძვირდა.

როგორც სემეკში აცხადებენ, ტარიფის კორექტირებისას მხედველობაში მიიღეს არა თბოელექტროსადგურების წილი, არამედ ელექტროენერგიის შესყიდვის ღირებულება, რომელიც კომპანიებს ლარის დევალვაციის გამო გაუძვირდათ. "მესმის, რომ თბოელექტროსადგურების წილი არის დაბალი, მაგრამ ტარიფის დადგენისას ჩვენ გავითვალისწინეთ ელექტროენერგიის შესყიდვის ღირებულება, რომლის წილი 75-80%-ს შეადგენს. ახალი ტარიფის დადგენისას სწორედ ეს ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი. მეთოდოლოგია, რის შესაბამისადაც ტარიფი შეიცვალა, 2014 წლის ივლისში კომისიის მიერ არის დამტკიცებული. მოქმედი კანონმდებლობით, კომპანიებს მიმდინარე წლის აპრილში ჰქონდათ შემოტანილი განაცხადი სატარიფო კომპონენტის შეცვლის მოთხოვნით. რეალურად ტარიფის კორექტირების შესაძლებლობა გვაქვს წელიწადში ერთხელ, განაცხადი ხელმეორედაც რომ შემოიტანონ, წლის ბოლომდე ჩვენ მას ვერ განვიხილავთ. წლის ბოლოს კი გვექნება ვალდებულება, ტარიფს კვლავ გადავხედოთ", - განაცხადა სემეკის წევრმა გოჩა შონიამ.

როგორც გაირკვა, მთავრობა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას გეგმავს მოსახლეობისთვის, მაგრამ მხოლოდ სოციალურად დაუცველთათვის. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სამომხმარებლო ტარიფის გაზრდის შემთხვევაში, "მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ მოსახლეობას ტვირთი შეუმსუბუქოს და აუცილებლად იქნება სუბსიდირება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის". მან მთავრობის სხდომაზე ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებს სუბსიდირების გეგმის მომზადება დაავალა. პრემიერის თქმით, გაძვირება მოსახლეობამ საკუთარ ჯიბეზე არ უნდა იგრძნოს. "როგორც კი დადგინდება საბოლოო ტარიფი, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებს ახალი ტარიფი ტვირთად საერთოდ არ დააწვეს", - განაცხადა ღარიბაშვილმა. ეკონომიკის სფეროს ექსპერტი გია ხუხაშვილი ფიქრობს, რომ ტარიფის მომატებით სოციალური რისკი გაიზრდება. გადასახადი მძიმე ტვირთად დააწვება არა მარტო სოციალურად დაუცველ მოსახლეობას (რომელსაც, სავარაუდოდ, სახელმწიფო დაეხმარება), არამედ ასე თუ ისე შემოსავლიან ოჯახებზეც მტკივნეულად იმოქმედებს. გია ხუხაშვილს ყველაზე მეტი ეჭვი აქვს სადისტრიბუციო კომპანიის მიმართ, რომელიც მთავრობას ულტიმატუმის ენით ესაუბრება".

"ფაქტია, რომ დენის ტარიფის გაძვირება გარდაუვალი იყო. როგორც კი ლარმა დევალვაცია დაიწყო და ეს პროცესი შეუქცევადი გახდა, ტარიფის მომატების აუცილებლობაც გაჩნდა. რატომღაც მგონია, რომ აქ დიდია კორუფციის რისკი. ხელისუფლებას ვურჩევ, დეტალურად შეისწავლოს საკითხი. მეტი გამჭვირვალობაა ამ პროცესში საჭირო... სახელმწიფო შეეცდება, სოციალურად დაუცველებს ტვირთი

(გაგრძელება გვ.7)

„ყველა ქართველი პაცი პოტენციური მელვინეა"...

გვ.5

დრო დროზე ჩქარა გარბის?!

გვ.4

გოჩა კეკიშვილის მორიგი რეკორდი

გვ.8



ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით" საქართველოში ჩამოიტანეს

გვ.4

C M Y K

პრემიერმა პენიტენციური სისტემის მართვის ცენტრი გახსნა

სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ვითარება 24-საათიან რეჟიმში გაკონტროლდება, - პენიტენციური რეფორმის ფარგლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში შექმნილი თანამედროვე ელექტრონული მართვის ცენტრი დღეს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრ გიორგი მღებრიშვილთან ერთად გახსნა.

მთავრობის მეთაური უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მართვის ცენტრის ფუნქციას გაეცნო, საიდანაც პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგი განხორციელდება.

მინისტრმა პრემიერს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ცენტრის დანიშნულებაა მიმდინარე რეჟიმში სისტემაში არსებული ვითარების ელექტრონული მონიტორინგი და სიტუაციური ანალიზი, ხოლო კრიზისულ ვითარებაში - ოპერატიული შტაბის როლის შესრულება. პირველად, სამინისტროს ისტორიაში ჩამოყალიბდა ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც ინფორმაციის დამუშავებას, სტატისტიკის წარმოებასა და ანალიზს უზრუნველყოფს.

ირაკლი ღარიბაშვილმა საბადრაგო სამსახურის ახალი ავტომობილებიც დაათვალიერა, რომელიც თანამედროვე სტანდარტებზეა მორგებული და მსჯავრდებულთა ადამიანის უფლებების სრული დაცვით გადაადგილებას უზრუნველყოფს.

„თქვენ ერთის მხრივ ხედავთ ჩვენი მთავრობის სახეს, მეორეს მხრივ - სააკაშილის სახეს. აქ ჩანს ყველაფერი, განსხვავება მიდგომებში, მოპყრობასა და ადამიანურობაში. ის, რაც ჩვენ დავამკვიდრეთ ციხეებში, აბსოლუტურად რევოლუციურია. კარგად მოგეხსენებათ, როგორი მძიმე მემკვიდრეობა დაგვხვდა - სადიზმი, რომელიც დამკვიდრებული იყო სააკაშვილის დროს. ყველამ ნახა განახლებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ჩვენ დავნერგეთ ციხეებში. ეს არის ძალიან დიდი წინსვლა და სწორედ ამის გამო, ევროკავშირი, აშშ-ი და ჩვენი პარტნიორი ქვეყნები ერთხმად აღიარებენ, რომ ჩვენ ამ მიმართლებით უზარმაზარ პროგრესს მივაღწიეთ", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე კვირის წინ საქართველოს სტუმრობდა აშშ-ის ვისკონსინის შტატის პენიტენციური სისტემის წარმომადგენელი, რომელიც ნანახით განცვიფრებული დარჩა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ეს არის რეალური შედეგი, რომელსაც მთავრობამ ორი წლის განმავლობაში მიაღწია. პრემიერმა სასჯელაღსრულების მოქმედ და ყოფილ მინისტრებს მადლობა გადაუხადა.

„ჩვენთვის მთავარია, სისტემა იყოს აბსოლუტურდა გამჭვირვალე და მის მიმართ აღდგეს საზოგადოების ნდობა, რომელიც არ არსებობდა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ჩვენი მთავრობა ანგარიშვალდებულია საკუთარი საზოგადოების, ამომრჩევლის წინაშე", - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პირველკლასელებს ახალ სასწავლო წელს Lenovo-ს გაუმჯობესებული ნეტბუკები გადაეცემათ

საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი 14 სექტემბერს დაიწყება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელს ჟენოვო - შ21ე-20-ის გაუმჯობესებული ნეტბუკები გადაეცემა. სამინისტროს ცნობით, ნეტბუქები აღჭურვილი იქნება უფრო ახალი თაობის შედარებით სწრაფი პროცესორებით. ასევე, კომპიუტერტში ჩატვირთული იქნება ისეთი პროგრამები, რომელთა გამოყენება შემდეგ კლასებშიც შესაძლებელია.

„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" მიერ ჩატარებული ტენდერის მიხედვით, პირველკლასელებს ბუკებს შპს „ესაბი" დაუმზადებს.

ტენდერი სულ 43 500 კომპიუტერზე იყო გამოცხადებული. ერთი კომპიუტერის დამზადება კი 326. 46 ლარი ჯდება. შარშან ერთი ნეტბუკის ფასი 388 ლარი იყო, მოთხოვნილი ბუკების რაოდენობა კი 46 ათასი.

ელექტრონულ ტენდერში სამი კომპანია შპს „ალტა, „იუ-ჯი-თი" და „ესაბი" მონაწილეობდნენ. ბოლო შეთავაზებაში „იუ-ჯი-თი"-ს 14 199762 ლარი ჰქონდა დაფიქსირებული, „ესაბს" ერთი ლარით მეტი 14 199763. თუმცა, როგორც შედეგებში წერია, „იუ-ჯი-თი" ტექნიკური დოკუმენტაციის გამო დისკვალიფიკაცია მიენიჭა და ხელშეკრულება 14 199 761.55 ლარად შპს „ესაბს" გაუფორმეს. შპს „ესაბს" ქარხნული ვარდნის ტესტიც ჰქონდა წარმოდგენილი.

2015-16 სასწავლო წლისთვის 41 424 სასკოლო ასაკის მქონე ბავშვი დარეგისტრირდა, კერძო სკოლებში 5248. დარჩენილი ვაკანტური ადგილების რაოდენობა კი არის 27 805.

27 ივლისიდან C ჰეპატიტზე სკრინინგის უფასო აქცია იწყება

ჰეპატიტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, 27 ივლისიდან კახეთში C ჰეპატიტზე სკრინინგის უფასო აქცია დაიწყება. ამის შესახებ განცხადებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, მოქლაქეებებს მომსახურების მიღება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიებში შეეძლებათ. კახეთში აღნიშნული ლაბორატორია ქალაქ თელავში, (მისამართზე: ალადაშვილის N2) მდებარეობს.

მოსახლეობის ნებაყოფლობითი სკრინინგი 7 აგვისტომდე, ათი სამუშაო დღე გაგრძელდება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით მთელი საქართველოს მასშტაბით, შემდეგ ქალაქებში ჩატარდება: თბილისი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ამბროლაური, ოზურგეთი და ბათუმი.

საყოველთაო სკრინინგის შედეგები სპეციალურ მონაცემთა ბაზებში აღირიცხება.

პატრიარქს გერმანიაში გულის სისხლძარღვზე ინვაზიური სამკურნალო ჩარევა ჩაუტარდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს, გერმანიაში გულის სისხლძარღვზე ინვაზიური სამკურნალო ჩარევა ჩაუტარდა.

"სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე იმყოფება გერმანიაში, სადაც უტარდება მკურნალობა. კორონაროგრაფიული გამოკვლევით გამოიკვეთა, რომ საჭირო იყო დამატებით ინვაზიური სამკურნალო ჩარევა გულის სისხლძარღვზე. პროცედურამ წარმატებით ჩაიარა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თბილისში სავარაუდოდ, 30 ივლისს დაბრუნდება", - ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პატრიარქი ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში გეგმური სამკურნალო-პროფილაქტიკური კურსის ჩასატარებლად 14 ივლისს გაემგზავრა.

ატმის რეალიზაციის მხრივ პრობლემები არ არსებობს

სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას მტკიცებით, ატმის რეალიზაციის მხრივ პრობლემები არ არსებობს. როგორც დანელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ატმის ფასიც შარშანდელზე უკეთესია.

"უკვე 3 000 ტონაზე მეტი ატამი არის ექსპორტზე გასული. ხარისხს რაც შეეხება, ჩვენ დავაყენეთ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა და შესაბამისად, ატამი დაზიანებული პრაქტიკულად არ არის და კარგი ხარისხისაა. ასევე, დაზღვეულია ატმის ბაღი, საკმაოდ დიდი რაოდენობა. შესაბამისად, ეს არის ის სისტემური მიდგომა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ. ის, რომ ვიღაცას უნდა ძირნაყარი ჩააბაროს კარგი ატმის ფასად, ეს უკვე სხვა თემაა და ბუნებრივია, ჩვენ ამაში ვერ ჩავერევით", - განაცხადა დანელიამ.

ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გრძელდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ვაქცინაციას ახორციელებს.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოში აცხადებენ, ამ ეტაპისათვის ვაქცინირებულია 99 042 ძაღლი და კატა. წლის ბოლომდე დაგეგმილია 250 000 ცხოველის ვაქცინაცია.

მათივე ინფორმაციით, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მოიმატა ცხოველებში ცოფის ლაბორატორიულად დადასტურებულმა შემთხვევებმა. კერძოდ: 2014 წლის 6 თვის განმავლობაში ცოფი დაფიქსირდა 34 ძაღლის, 25 მსხვილფეხა, 1 წვრილფეხა, 2 გარეული ცხოველის პათ მასალაში, ხოლო მიმდინარე წელს (6 თვეში) ცოფი ლაბორატორიულად დადასტურდა 23 ძაღლის, 36 მსხვილფეხა, 1 წვრილფეხა პირუტყვის, 2 ცხენის, 1 ღორის პათმასალაში.

სასოფლო სამეურნეო ცხოველებში ცოფის შემთხვევების მატების ძირითადი მიზეზი გარეული და მაწანწალა ცხოველების შინაურ ცხოველებზე თავდასხმის ფაქტების გაზრდაა.

სოფელ ახაშენში სტიქიის შედეგების აღმოფხვრაში ეროვნული გვარდია ჩაერთო

გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში, სტიქიის შედეგების აღმოფხვრაში თავდაცვის სამინისტრო ჩაერთო. ეროვნული გვარდიის თელავის მე-20 კადრირებული ბატალიონი , დილიდან ღვარცოფისგან მოტანილი ქვაღორღისაგან წმენდს ახაშენის შიდა საუბნო გზებს, წყალგამტარებს. ჯარისკაცები მოსახლეობას ასევე ეხმარებიან ეზოებიდან ტალახის გატანაში.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ახაშენში გამავალ სარკინიგზო ხაზსაც გაწმენდენ, რომელიც სტიქიის დროს მთლიანად მიწით დაიფარა. ჯართან ერთად სტიქიის ზონაში კახეთის გუბერნატორიც იმყოფება. ირაკლი შიოლაშვილი გაწეული დახმარებისთვის ჯარს მადლობას უხდის.

გუშინ ღამით მოსული ძლიერი წვიმის შედეგად, მდინარე ახაშენის ხევი ადიდდა 40-მდე სახლი დატბორა. სტიქიამ რკინიგზის მაგისტრალი და შიდა საუბნო გზები მიწით და ქვაღორღით დაფარა.

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრის ინფორმაციით, 22-23 ივლისს, კახეთის რეგიონში - ახმეტა, თელავი, გურჯაანი, ყვარელი და ლაგოდეხის რაიონების ტერიტორიაზე სეტყვასაწინააღმდეგოდ, ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედება დაგვიანებით განხორციელდა. გასროლილი იქნა 90 ერთეულზე მეტი სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტა.

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრის ინფორმაციით, კახეთის რეგიონში 19:00 საათიდან განვითარებული სეტყვასაშიში ღრუბლების საერთო ფართობმა შეადგინა 3531 კმ2. (353100 ჰექტარი) სეტყვის ალბათობა 80-100 %-მდე ვარირებდა. მოსალოდნელი სეტყვის მარცვლების დიამეტრი კი 15-30 მმ იყო.

„ობიექტური მიზეზების გამო ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედება შესაძლებლობისთანავე თუმცა, დაგვიანებით განხორციელდა. გასროლილი იქნა 90 ერთეულზე მეტი სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტა. სროლების შედეგად კახეთის რეგიონში 3 49700 ჰექტარი ფართობის სასოფლო სამეურნეო სავარგული გადაურჩა დასეტყვას, რაც მოსალოდნელი დასასეტყვი ფართობის 95 % ზე მეტია.

აღნიშნული დროის განმავლობაში სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ საერთო ჯამში 95 % ზე მეტი ეფექტურობა აჩვენა, რითიც მოსალოდნელი ზარალის უდიდესი ნაწილი თავიდან იქნა აცილებული",- განაცხადეს სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრში.

23 ივლისს, გვიან ღამით მოსულმა სეტყვამ ყვარლის რაიონის სოფლებში საბუეში, შილდაში, ყვარელში, სანავარდოში, კუჭატანში და გავაზში რამდენიმე ასეულ ჰექტარზე ვენახები, საზამთროს ბაღები, სიმინდის ყანები 70—90%-ით გაანადგურა. სეტყვას თან ძლიერი ქარიც ერთვოდა. გავაზსა და სანავარდოში 10 საცხოვრებელ სახლს სახურავი აქვს გადახდილი.

სეტყვამ და ქარმა ყვარლის გარდა თელავის და გურჯაანის რაიონებიც დაზარალა. სოფელ ახაშენში ხევი ადიდდა, წყალი კალაპოტიდან გადმოვიდა და 20—ზე მეტი საცხოვრებელი სახლი დატბორა. თელავის რაიონში დაისეტყვა სოფლების ნაფარეულის, კონდოლის, ვანთას და აკურას ნაწილი.

„ელია“-ს მთაზე აგებული ტაძარი მლოცველებს ელის

ბიბლიის მიხედვით „ელია“ ფისკედან იყო და ცხოვრობდა მეფე იახვეს დროს ძვ.წ. IX საუკუნეში. იახავესადმი ერთგულების გამო მას სდევნიდნენ და იძულებული იყო მტერს დამალვოდა.

ბიბლია მოგვითხრობს, რომ იგი ახდენდა სასწაულებს: აცოცხლებდა მკვდებს, გვალვის დროს ფრინველთა საშუალებით შოულობდა საკვებს. მის სახლში არასოდეს ილეოდა საჭმელი.

ქრისტიანული თქმულებით კი ქრისტეს ფერისცვალების დროს ფაკერის ბორცვზე ციდან დაეშვნენ მოსე და „ელია“ რომლებიც ესაუბრებოდნენ ქრისტეს.

ქრისტიანულმა რელიგიამ ეს წმინდანი დაისესხა ძველი ებრაული რელიგიიდან, როდესაც ებრაელთა ტომები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი წარმოდგენით შექმნეს ცხენოსნების ღმერთის იახავეს კულტი, ხოლო სხვა ღმერთები მას დაუმორჩილეს, მათ შორის „ელიაც“. იგი ითვლება ქუხილისა და წვიმის მამამთავრად და თითქოს შეუძლია წვიმა მოიყვანოს გვალვის დროს.

არსებობს მითი, თითქოს ჭექა-ქუხილის ხმას ეტლი გამოსცემდა, ელვა კი იმ ეტლში შებმული ცხენების ფლოქვების დარტყმით წარმოშობილი ნაპერწკალი იყო, ამიტომ ელიას ჭექა-ქუხილის ღმერთსაც უწოდებენ.

ქალაქ დედოფლისწყაროს სამხრეთით აღმართულია ორმწვერვალიანი „უნაგირა“ მთა. ორივე მისი მწვერვალი თეთრი კირქვის მძლავრი მასივია, რომელთაც გაბატონებული ადგილი უკავიათ დედოფლისწყაროს ზეგანზე და შორიდანვე იქცევენ მნახველის ყურადღებას. ჩრდილოეთი მწვევალი, რომელიც „ნიკორციხის“ სახელითაა ცნობილი, ცოტა უფრო მაღალია (სიმაღლე 1001 მ ზღვის დონიდან) ვიდრე სამხრეთი მწვერვალი, რომელსაც „ელია“ ეწოდება, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ფრიალო-კალთებიანი და ძნელად მისადგომია.

„ელიას“ მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, ფუძიდან ოცდაათიოდე მეტრის სიმაღლეზე სამკუთხა მოყვანილობის ფართო და მაღალი ბუნებრივი ეხია, რომლის წინა პირი ამოშენებულია. ეს არის „წმ.ელიას“ ცნობილი სამლოცველო, რომელსაც ძველთაგანვე დიდ პატივს სცემს დედოფლისწყაროს და მთელი ქიზიყის მოსახლეობა. წმინდა წინასწარმეტყველი ილია დაიბადა ქალაქ თესბში, ამიტომაც იწოდება „თეზბიტელად“ და ყოველ 2 აგვისტოს (ძველი სტილით 20 ივლისს) ამ წმინდა დიდებულ წინასწარმეტყველის ხსენების დღეს უამრავი ხალხი იკრიბება აქ, ღამეს ათევენ და ლოცვას აღავლენენ ელიას კლდის ძირას.

როდის არის აშენებული წმ. ელიას ეს სამლოცველო, არავინ იცის, ზეპირგადმოცემის გარდა ერთადერთი წერილობითი ცნობა მის შესახებ შემოგვინახა ალექსანდრე დიუმამ, რომელსაც „ელიას“ კლდე უნახავს 1858 წელს კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობის დროს და მოკლე ჩანაწერიც გაუკეთებია: „თამარ მეფის ციხიდან ექვსი ვერსის დაშორებით აღიმართება კიდევ ერთი მთა, რომლის შეახებ გადმოცემა არსებობს. ამ მთას „ელია“ მთა ჰქვია, ძირს მლაშე ტბა ევლება. შუა მთაში გამოჭრილ ფართო მღვიმეში აშენებულია სამრეკლო, სადაც ხშირად დადიან მცხოვრებლები. გადმოცემა ამბობს, რომ ამ მღვიმეში ილია წინასწარმეტყველისათვის ყორანს საჭმელი მოჰქონდა და რომ მან თავისი წამოსასხამი თავის მოწაფეს ელისეს დაუტოვა, თვითონ კი მთის მწვერვალიდან ცაში ამაღლდა.

ალექსანდრე დიუმას ეს ცნობა საკმაოდ სყურადღებოა, რადგან ილია წინასწარმეტყველის შესახებ ბიბლიური გადმოცემა შერწყმულია ძველქართულ ტრადიციასთან ელიას ხალენის საქართველოში არსებობის თაობაზე. იგივე ცნობით ვრწმუნდებით, რომ სამლოცველო მაშინაც ძველი იყო, როცა იგი ფრანგმა მწერალმა მოინახულა, ხოლო აგურის პოსტამენტი ზედ აღმართული რკინის ჯვრით, რომელიც დღესაც დგას ელიას კლდის თხემზე. სავარაუდოდ აგებულია XIX საუკუნეში რუსების მიერ, კერძოდ ნიჟნინოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ყოფნის დროს.

სამლოცველოს კედლები დროთა ვითარებაში თანდათანობით დაინგრა და დაიშალა. ამდენად, რამდენიმე წლის წინ მამა ნიკოლოზის (ლომსაძის) ინიციატივით და ბოდბელი ეპისკოპოსის, მეუფე დავითის კურთხევით გადაწყდა ტაძრის აღგენა ელიას მთაზე და ამ საქმის შესასრულებლად შეიქმნა საგანგებო ინტერესებით გაერთიანებული ჯგუფი, რომელმაც პროექტი წარუდგინა არქიტექტორ სერგო ქართველიშვილს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან არსებულ ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრს.

დაიწყო წინასწარ გასუფთავება ადგილისა და არქეოლოგიური გათხრები არქეოლოგ იულონ გაგოშიძის ხელმძღვანელობით. გაირკვა, რომ კლდეზე ყოფილა მცირე ზომის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ორსათავსოიანი ტაძრის ნახევრად კლდეში ნაკვეთი სენაკის, კარიბჭისა და ეხში მოწყობილი სამეურნეო სათავსოსგან შედგება და როემლიც თავის დროზე, შესაძლებელია, მარტოდმყოფელი (განდეგილი) ბერის ან რამდენიმე ბერის სადგომი სკიტე ყოფილიყო. მაშინ უნდა ყოფილიყო დედა-მონასტერიც.

ზემოხსენებული კელიისა და სამკვეთლოს გათხრისას აღმოჩნდა ჩარხით გამოყვანილი რელიეფური, კვეთილი სარტყელებით და ფარგლით შესრულებული კეთილი ორნამენტით შემკული ძვლის მილაკი, რომელიც შესაძლებელია, უსუპის ტარი ყოფილიყო. ტაძრის ბოლო რესტავრაცია შესრულებულია კვადრატული ე.წ. ქართული აგურით და გადახურული ყოფილა კრამიტით. აგურის ზომები საშუალებას იძლევა, რომ ეკლესიის ბოლო რესტვრაცია XVIII ან XIX დასაწყისით დავათარიღოთ. იმავე თარიღს მიუთითებს ღარისებრი კრამიტის ერთ-ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილი კრამიტის გამონვამდე ამოკვეთილი ქართული მხედრული წარწერაც „გასპარისა“, რომელიც, როგორც ჩანს, მეკრამიტე ხელოსანს ეკუთვნოდა. ცნობილია, რომ სომხურ - გრიგონიალური რწმენის მიმდევარი ვაჭარ-ხელოსნები ქიზიყში, კერძოდ კი სიღნაღში მეფე ერეკლემ 1762 წლიდან დაასახელა. ასე რომ, ამ კრამიტსაც, რომელიც ტრადიციული ქართული ფორმისაა, ხელოსანი გასპარა გამოწვავდა. ელიას ეხში გათხრების დროს „გასპარას“ წარწერიანი კრამიტისაგან განსხვავებული ფორმის ოთხი ტიპის ღარისებრი კრამიტი და მათთან ორი თუ სამი ტიპის ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტი აღმოჩნდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ქვედა ფენაში ნაპოვნი ბრტყელი კრამიტის ნატეხი, რომელზეც სამი რელიეფური ძველქართული მთავრული ასონიშანია ტ.ფ.ნ. ეს ასონიშნები შეიძლება იყოს ნაწილი საკუთარი სახელისა „სტეფნე“ სხვაგვარი ინტერპრეტაცია თითქოს არ ჩანს და ასეთი წაკითხვა გვაბრუნებს იმ საკითხთან, რომელი დიდი მონასტრის მეტოქე შეიძლება ყოფილიყო წმინდა ელიას სკიტი? ხირსა ხომ არ იყო მისი ეს დედა-მონსატერი, რომლის დაფუძნება ერთ-ერთი ასურელი მამის წმ. სტეფანე ხირსელის სახელთან არის დაკავშირებული?

აქ აღმოჩენილია, აგრეთვე, ქვედა ფენაში რამდენიმე ქვევრი, კერამიკული ჭურჭელი, მათი თავისებურებიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ მონასტერი აგებულია ადრეულ შუა საუკუნეებში, ე.ი. VI-IX ს. არ უნდა გასცილდეს.

კერამიკული ჭურჭლის ცხრავე ქვევრი, რომელიც წმ. ელიას ეხში გაითხარა, ზოგადად, შუა საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო ეხის კულტურულ ფენათა სტრატიგრაფია საშუალებას იძლევა, რომ ამ ქვევრების ქრონოლოგიური კუთვნილების სავარაუდო არეალიდან გამოვრიცხოთ ადრეული შუა საუკუნეები.

სტრატიგრაფიულად ქვევრებთან დაკავშირებული ერთფერად მოჭიქული ჯამები და მწვანე ჭიქურით დაფარული ლანგრის ვერტიკალური ბაკო წმ. ელიას ეხის მეორე (ქვევრებთან) კულტურულ ფენას XVI —ით ათარიღებს.

სწორედ ასეთი მწვანედ მოჭიქული ლანგარი ახლდა ალაზნის ჭალაში 1616 წელს კახეთის აოხრების დროს მიტოვებული ღამყანუხის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილ ალექსანდრე მეორის კახთა მეფის (1574-1605წწ) წარწერებიანი ვერცხლის ჭურჭლის განძს, რომელიც ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია დაცული და მიუხედავად იმისა, რომ წმ. ელიას ეხში ქვევრები ორ წყებად იყო ჩადგმული და ქვევრების ფორმებშიც შეიმჩნევა თვალსაჩინო განსხვავებანი, მაინც ვფიქრობთ, რომ ქვევრების ორივე წყებაც და თვით წმ ელიას კომპლექსის აღდგენა-განახლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. როცა კობპლექსი, შესაძლებელია თითქმის მთლიანად ხელახლა აშენდა, უნდა დათარიღდეს სწორედ მე-16 საუკუნით. პერიოდით, როდესაც კახეთის სამეფომ განსაკუთრებულ ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწია და როცა, სავარაუდოდ, უნდა გაჩენილიყო მონღოლობის დროს გაჩანაგებული კამბეჩოვანის აღორძინების პირობები.

წმ. ელიას სამლოცველოსთან მიმართებაში შგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრება ამ ეხში ადრეულ შუა საუკუნეებში დაწყებულია. კონკრეტულად როდის, ამის განსაზღვრა უფრო ძნელია, მაგრამ, რამდენადაც მაინც მონასტერთან გვაქვს საქმე, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი დაარსება 6 საუკუნის შემდეგ უნდა მომხდარიყო (სამონასტრო ცხოვრების დაწყება საქართველოში ხომ, როგორც ცნობილია, ასურელი წმ. მამების მოღვაწეობას უკავშირდება), მაგრამ არა უგვიანეს XIX საუკუნისა.

2005 წელს დაიწყო და 2006 წლის დასაწყისში დამთავრდა წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ტაძრის აღდგენა, რაზედაც დიდი უშურველი, სასიკეთო მონანილეობა მიიღო მშენებელმა დავით ფხოველიშვილმა, არქიტექტორმა სერგო ქართველიშვილმა, პატრიოტმა და პოეტმა კალატოზმა ზაურ გონაშვილმა. დიდ მადლად უნდა ჩაითვალოს სასაზღვრო ჯარის ბიჭების და პოლიციის დახმარება, დიდი წვლილი შეიტანა პატრიოტმა ადამიანმა პოეტმა ზურაბ ცისკარაულმა, რომელიც დღედაღამ დარაჯობდა მონასტერს. აგრეთვე დიდია წვლილი რაიონის მოსწავლეების და ადგილობრივი მოსახლეობის.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის ჩვენი რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანის კუთვნილ ტერიტორიაზე ეგრეთ წოდებულ თელა წყალზე, არსებობს წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ეკლესია, საინტერესოა ისიც, რომ აქ მოსახლეობა არ ცხოვრობს, მაგრამ, რადგან აქ სახნავ-სათესი მიწებია, ელიას შესთხოვდნენ წვიმის მოსვლას და წვიმა კი, მოგეხსენებათ, აუცილებელია უხვი მოსავლისათვის. ამიტომაც აუგიათ ეს ტაძარი. არსებობს მოსაზრება, რომ გლეხები შესთხოვდნენ ელიას წვიმის მოსვლას და უხვი მოსავლის მოწევას.

თამარ ჯავაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი.

დრო დროზე ჩქარა გარბის?!

თითოეული ადამიანი დაბადების წუთიდან გარკვეულ დროსა და სივრცეში ვცხოვრობთ და ჩვენი საკუთარი დროის ათვლის სათავეც ჩვენი სამყაროში მოვლინების წამიდან იწყება...დიახ, საკუთარი დროის, რომელიც მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის დაბადებიდან ვიდრე გარდაცვალებამდე...მანამდე და მას შემდეგ დროსთან ჩვენ შეხება მხოლოდ ჩვენივე წინა და მომავალი თაობების საშუალებით გვაქვს, ისტორიას კი თავიანთი გვარ-სახელით მხოლოდ "ძლიერნი ამაქვეყნისანი" რჩებიან...

დღეს, 21-ე საუკუნეში, დროსთან გამკლავების პრობლემა მეტად აქტუალურია, ძალიან ძნელია ცხოვრების ზეწოლის პირობებში მასთან შერკინება და ისეთი რეცეპტის გამოგონება, როდესაც მას ნაკლებად გავფლანგავთ და თავისუფალი მეტი დაგვრჩება, რადგან ჩვენ მისი შეჩერება არ შეგვიძლია, იგი უბრალოდ უნდა ვაკონტროლოთ. ამ ბოლო ხანებში საზოგადოებრივ ტრანსპორტში, "ფეისბუქზე" ანდა უბრალოდ ახლობლებისგან ხშირად მსმენია ფრაზები:"რა ჩქარა გარბის დრო", "უკან მოხედვას ვერ ვასწრებთ", "ეს საუკუნის დასასრულსა და დასაწყისს ახასიათებს","ნეტავ დროის შეჩერება შემეძლოს", "ადრეც ასე სწრაფად გარბოდა დრო თუ ახლა აჩქარდა?"- სვამენ უამრავ შეკითხვას და თითქოს ვიღაცისგან პასუხსაც ელიან. მე, როგორც ამ საზოგადოების ერთ-ერთ წევრს, მსგავსი კითხვები ცხოვრების სხვადასხვა დროს, ალბათ, გამჩენია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვისი "ძალიან სწრაფად" გაზრდილი ბავშვი დამინახავს, ანდა ორშაბათიდან ორშაბათამდე უცებ გაფრენილა დღეები, მაგარამ თუ კარგად დავფიქრდებით, უმალ მივხვდებით, რომ დრო კი არ გარბის, ის მოდის და ჩვენ ყოველ წუთს მას ველით, შემდეგ კი მომავალი აწმყოდ იქცევა და ასე გრძელდება უსასრულოდ, ჩვენ კი როგორც არ უნდა ვეცადოთ, მას ვერ შევაჩერებთ, იგი სამყაროში ქაოსის თავიდან აცილების და წესრიგის განმსაზღვრელია. ერთ-ერთი მეცნიერის აზრით, სამყარო უნდა განისაზღვროს დროის გარეშე და ადამიანებს ასაკი მათი ადამიანური რესურსის მიხედვით გამოეთვალოს. ალბათ, ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია, მაგრამ დრო რომ ამ სამყაროში ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონეა, ესეც ფაქტია, უბრალოდ, მისი თითოეული წამი, წუთი უნდა ნაყოფიერად და ხარისხიანად გამოვიყენოთ.

დოსტოევსკი ამბობდა:"როცა მთელი კაცობრიობა მიაღწევს ბედნიერებას, მაშინ დრო აღარ იარსებებს, რადგან უკვე საჭირო აღარ იქნებაო".

როდესაც წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ვსაუბრობთ, გვიფიქრია ამ დროს აწმყოზე, რომელსაც მათემატიკური ხანგრძლივობა არ აქვს, იგი მუდმივად მიედინება და აწმყო დროის მონაკვეთი არ გააჩნია, ის წარსულსა და მომავალს შორისაა, თუმცაღა, ეს მხოლოდ მათემატიკურად, ფსიქოლოგიურად კი აწმყო არსებობს და ჩვენ მას განვიცდით, ვგრძნობთ.

უძველეს ხანაში, შუა საუკუნეებსა თუ აღორძინების ეპოქაშიც არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც სწრაფადმავალი დროის შეუქცევადობის პრობლემაზე ფიქრობდნენ და ბჭობდნენ, ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს პრობლემა დღეს გახდა აქტუალური. გაწონასწორებულობა, სიმშვიდე, არსებულ მოცემულობაზე სწორი კონცენტრაცია არის გარანტი დროის სწორად მართვისა და დაგეგმარების.

შექსპირი ამბობდა : "დრო სხვადასხვა პიროვნებებისთვის სხვადასხვანაირად გადისო" და რათქმაუნდა, ასეა. არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება აპირებენ იცხოვრონ, ისინი ეთამაშებიან დროს, რადგან "ვერასოდეს დაიწყებ, თუ არ დაიწყე დღესვე".

ჩვენ გავესაუბრეთ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს, გვაინტერესებდა, ვის უფრო მეტად აქვს დროის სიჩქარის განცდა, მათი დამოკიდებულება დროსთან და ყველაზე მნიშვნელოვანთან ამ დროში?

თამთა, 22 წლის, მაგისტრანტი-მე პირადად არ მაქვს იმის განცდა, რომ დრო ახლა გარბის ძალიან სწრაფად და სხვა დროს ასე არ იყო, უბრალოდ ჩემი ცხოვრების რეჟიმიდან გამომდინარე, მხოლოდ მის სწორად დაგეგმვას თუ ვახერხებ, ხანდახან ესეც არ გამომდის და სულ დროის დეფიციტს განვიცდი, თავზესაყრელი ანუ მოცლილობის(მოცალეობის) ჟამი პრაქტიკულად არ მახსოვს ჩემი მეხსიერებიდან, ვნატრობ თავისუფალ დროზე, რომ კინოფილმის ჩვენებაზე ან სპექტაკლზე წასვლა მოვახერხო მეგობრებთან ერთად, ეს ალბათ ჩვენი თაობის სენია...

თიკო, 24 წლის, იურისტი- დრო ჩემთვის პირადად ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მცნებაა ამ სამყაროში, სამსახურიდან საღამოს გვიან ვბრუნდები სახლში და ხშირად თავს ძალას ვატან, მეგობრებთან ერთად სასეირნოდ გასვლა რომ მოვახერხო, დროის დეფიციტს ძალიან განვიცდი, მაგრამ ასე მირჩევნია. თავზესაყრელ თავისუფალ დროსა და მის უქმად გამოყენებაზე ბევრი ახალგაზრდა ჩივის და წუწუნებს. სამყაროში, სადაც დრო ფული ღირს, ჯობია, ის ყველა ნიუანსში კარგად გათვალო და ნაყოფიერად გამოიყენო,თუმცა, ხშირად ბევრი რამ ჩვენზეც არ არის დამოკიდებული...

ელენე, 41 წლის, პედაგოგი-ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, თავისუფალი დროის დეფიციტს ნამდვილად განვიცდით პედაგოგები, მართალია, ზაფხულის შვებულება და სხვადასხვა დროს არდადეგები გვაქვს, მაგრამ ამ დროსაც მასწავლებელი თავისთავზე ბევრს მუშაობს, მუდმივად კვალიფიკაციას იმაღლებს, სხვანაირად ყველაფერს ჩამორჩები და მოსწავლეებისთვის შენს მიერ მიწოდებული მასალა ინტერესმოკლებული იქნება, თუმცა, არ მაქვს იმის შეგრძნება, რომ დრო ახლა აჩქარდა და სხვა დროს ასე არ იყო, უბრალოდ, მგონია, ტექნოლოგიურ წინსვლას მოჰყვება რაღაც-რაღაც პროცესების დაჩქარებაც და ჩვენც გვეჩვენება ასე...

ასეა თუ ისე, ძვირფასო მკითხველო, მაინც ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული, მათ შორის ისიც, რამდენად კეთილი საქმისთვის გამოვიყენებთ მას.

-"რომელი ჟამია ყველაზე მნიშვნელოვანი?

-აწმყო, რამეთუ ყოველი ადამიანი აწმყო დროის მფლობელია!

-რომელია ყველაზე საჭირო ადამიანი?

-ის , ვისთანაც გაქვს საქმე!

-რომელი საქმეა ყველაზე ღირებული?

-სიკეთე, რომლის გაკეთებასაც შენ ამ ადამიანისთვის მოასწრებ!"

დიახ, ვაკეთოთ სიკეთე და ამისთვის ნუ დაველოდებით დროს, რომელიც "დროზე ჩქარა გარბის!"

ელზა ხარაშვილი

ანსამბლი „ხორნაბუჯი“ საანგარიშო კონცერტით წარსდგა

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში, კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის – „ხორნაბუჯი“ საანგარიშო კონცერტი გაიმართა, სადაც შესრულდა როგორც ფოლკლორული, ასევე ქალაქური სიმღერები.ღონისძიებას ესწრებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად. კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა.

ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“ საქართველოში ჩამოიტანეს



96 წლის შემდეგ ნიკო ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“ საქართველოში ჩამოიტანეს. ნამუშევრის ნახვა ეროვნულ გალერეაში მთელი კვირის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ნახატი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერის ფონდში ჩაირიცხა, სადაც ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ყველაზე დიდი კოლექციაა დაცული.

1 ივნისს, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“ მილიონნახევარ დოლარად კრისტის აუქციონზე შეიძინა.

ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთი ცნობილი ნამუშევარი „არსენალის მთა ღამით” 1907-1908 წელს შეიქმნა. ნამუშევარმა რამდენჯერმე გამოიცვალა მფლობელი. „არსენალის მთა ღამით” 1897-1982 წლებში ცნობილი ფრანგი პოეტის ლუი არაგონის კოლექციაში იყო, რომელსაც ნახატი 60 წლის იუბილეზე აჩუქეს. 2010 წელს ნახატი მილიონ ასი ათას ფუნტად გაიყიდა ლონდონის მაკდუგალის აუქციონზე.

ამ დრომდე ნამუშევარი კერძო კოლექციონერის საკუთრება იყო.

„ყველა ქართველი კაცი პოტენციური მეღვინეა,“–გოდერძი გონაშვილი 75 წლისაა



მინი დოსიე: დაიბადა 1940 წლის 22 აპრილს, მამა – გიორგი გონაშვილი, მეორე მსოფლიო ომს შეეწირა. დედა – ქრისტინე ყოჩიაშვილი, ავტოავარიაში დაიღუპა. რის გამოც ის უფროსი დების – დარიკოს, ნორას და ლამარას მეთვალეყურეობის ქვეშ გაიზარდა. 1960 წელს მუშაობა დაიწყო ახალციხის ღვინის ქარხანაში. 1968 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტი მეღვინეობის განხრით. 1965 წელს, მუშაობა დაიწყო წითელწყაროს ღვინის ქარხანაში ჯერ მუშად, მერე ლაბორანტად, ქიმიკოსად, ლაბორატორიის გამგედ, ოსტატ-მეღვინედ, შემდეგ ქვემო ქედისა და ფიროსმანის გაერთიანების მთავარ მეღვინედ, სადაც შექმნა ახალი ღვინო სახელწოდებით „ქედები“. მოკლე პერიოდში მუშაობდა ლიმონათის ღვინის ქარხანაში ოსტატად, სადაც შექმნა და დააპატენტა სამი სახის ახალი ლიმონათი „დედოფლისწყარო“, „ტარიბანა“ და „ფიროსმანი“, რომელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი კომპონენტი ღვინო იყო. 1997 წელს მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით ჩამოაყალიბა „დედოფლისწყაროს საკრედიტო კავშირი“, რომელიც საქართველოში ითვლებოდა ერთ-ერთ მოწინავე საკრედიტო კავშირად. დაჯილდოვებულია უამრავი სიგელითა და ნომინაციებით, თუმცა უმთავრესი ისაა, რომ ახლახანს გოდერძი გონაშვილს, 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „დარგის ამაგდარის -საქართველოს აკადემიის საპატიო აკადემიკოსის“ წოდება მიენიჭა .ჰყავს მეუღლე ნათელა ჯალიაშვილი, შვილები: გია და ეკა, ოთხი შვილიშვილი დავით, გოდერძი გონაშვილები, სანდრო, მარიამ ხარაზიშვილები და ერთი შვილთაშვილი, პაპის მოსახელე გიორგი.

საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყანაა, რომლის მიმართ ოდითგან განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ქართველებს. ჩვენში ღვინო და ვაზი ქართულ ტრადიციებთან, სარწმუნოებასთან, სუფრასთან და წარმოთქმულ სადღეგრძელოებთან ასოცირდება. ვიცით, ქართულ სუფრას რა დატვირთვაც აქვს, - იყო დრო, როდესაც ის ერთგვარ ტრაპეზს წარმოადგენდა, სადაც ქართველებს დაუფარავად შეეძლოთ სამშობლოსა და ერთმანეთის სიყვარულის გამოხატვა. სადღეგრძელოს ლოცვასთან ადარებდნენ. ძველადაც და ახლაც ასეა, კაცს ღვინის სიყვარულით ზომავენ, ჩვენში ასე იტყვიან, კაცს თუ პურ-მარილი არ უყვარს, - ის არც ოჯახში გამოდგება და არც ერშიო. ჩვენთვის ვაზი და ღვინო სიწმინდესთან და სულიერებასთან ასოცირდება, წმინდა ნინომ ხომ ჩვენი ქვეყანა ვაზის ჯვრით აკურთხა. ღვინო მხოლოდ მატერიალური დოვლათი კი არ იყო, არამედ ქართველების სულიერი საზრდოც, მამა-პაპათა ნაღვაწის ნაშთი და სახსოვარი. ვენახი ერთი დღის საქმე არ არის. ის დიდი ხნის შრომის ნაყოფია, თუ სად და როგორ დაიწურებოდა ღვინო, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც საქართველოში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქვევრ-მარანს, სადაც საპატო სტუმრებს იწვევდნენ და იქ წარმართავდნენ პურ-ღვინობას ანუ ქრისტეს ხორცისა და ღვინის მირთმევას. დიდმა ქართველმა ადამიანმა კოტე ჩოლოყაშვილმა თქვა: -„ღვინო საქართველოს სისხლია, რადგან ის შექმნილია ჩვენი მიწის წვენისა და მზისაგან! ღვინო განასახიერებს ქართულ სულს. შემოსეული მტერი მუდამ ვაზს ჩეხდა, რათა ჩვენი უდრეკი სული შეერყია, მაგრამ ვაზი მაინც მძლავრობდა და ქართველ კაცსაც არასოდეს უქრებოდა მისი მოვლის სურვილი. მუდმივად გადარჩენისთვის მებრძოლებს, ღვინო დაგვეხმარა ქართული სულის შენარჩუნებაში. ის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია...ოქტომბერს ჩვენ ღვინობისთვეს ვეძახით, ჩვენ ღვინით ვემშვიდობებით გარდაცვლილს და ვესალმებით ახალშობილს, ღვინით ვუხსნით სიყვარულს და ღვინით ვქორწინდებით. გაუმარჯოს ღვინოს!“

ალბათ იშვიათია ოჯახი, სადაც განსაკუთრებული ადგილი არ ეთმობოდეს მარნის და ქვევრების არსებობას. სამწუხაროდ, დღეს ეს ტრადიცია ნელ-ნელა იკარგება, მაგრამ საბედნიეროდ არსებობენ ჩვენში ადამიანები, ვისაც ქართული ტრადიციების, ღვინის და ვენახის მოვლის სურვილი ჯერ კიდევ არ გაჰქრობიათ, უფრო მეტიც, პოპულარიზაციას უწევენ ქართული მარნის, ქვევრის ღვინის და ზედაშის შთამომავლობაზე გადაცემის პროცესს. ასეთი ადამიანია ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მეღვინე, ბატონი გოდერძი გონაშვილი, რომელმაც, უკვე წლებია, სოფელ ხორნაბუჯში, საკუთარ სამოსახლოში მარანი ჩადგა. უბრალო მარანი კი არა, თავისთვის რომ აქვთ, არამედ ისეთი, სადაც ყველა მსურველს მიიღებს. მარანი, რომელსაც უკვე მუზეუმის დატვირთვა აქვს და სადაც ღვინის დაყენებასთან დაკავშირებულ ყველა ძველ-ქართულ ტრადიციულ ნივთს იხილავთ, რომლებიც უბადლო გემოვნებითაა განლაგებული. ვინ არ ყოფილა ამ მარანში, ვის არ შეუსვამს ღვინო და ვის არ უპურმარილია გონაშვილის ქვევრის პირას. წლების მანძილზე ბატონი გოდერძი უამრავი საპატიო სიგელითაა დაჯილდოვებული, სულ ახლახანს კი, ის აკადემიკოსის წოდებით დააჯილდოვეს. სწორედ ამიტომ ინტერვიუს ჩასაწერად მის ღვინის მარანს მივაშურე.

-ბატონო გოდერძი, ვაზისა და ღვინის კულტი სხვა საზომადაა ქართველებისთვის ქცეული, თქვენ როდის შეიყვარეთ ვაზი?

- მიმაჩნია, რომ ყველა ქართველი კაცი პოტენციური მეღვინეა. ღვინის სამშობლო რომ საქართველოა, ამას 800 000 წლის წინანდელი ყურძნის წიპწის აღმოჩენაც მეტყველებს. ჯერ მარტო 550 აბორიგენული ჯიში გვაქვს ქართველებს. ბავშვობიდან იმდენად ჩემად ვგრძნობ ვაზს, რომ ოცნებად გავიხადე მეღვინე გავმხდარიყავი. მოგეხსენებათ, რომ ცნობილი მიზეზების გამო, გაჩერდა და გაპარტახდა რაონში არსებული ოთხი მძლავრი ღვინის ქარხანა, სადაც წელიწადში 70 000 ტონა ყურძენი მუშავდებოდა. იმდენად სისხორციელი იყო ჩემთვის მეღვინეობა, რომ ვერ შევეგუე ჩვენს რაიონში ამ დარგის დეგრადაციას და გადავწყვიტე, შემექმნა საოჯახო ღვინის მარანი. ვეწევი ქართულ ტრადიციულ მეღვინეობას, რისთვისაც ვიყენებ თიხის ქვევრს. ვცდილობ, პოპულარიზაცია გავუწიო მსოფლიოში უძველეს კახურ ტექნოლოგიას, ამით მსურს, პატივი მივაგო წინაპართა ხსოვნას, ვინც შექმნა და შემოგვინახა მსოფლიოში ყველასგან განსხვავებული ტექნოლოგია, რომელიც გადაეცემოდა თაობიდან თაობას. იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

-ცნობილია, რომ თქვენ უკვე თქვენი საკუთარი ბრენდები შექმენით, რა ღვინოებია ესენი და როგორ მოახერხეთ მისი ბოთლებში დაბეჭდვა?

-შევიძინე იტალიური წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც მოიცავს ყურძნის გადამუშავებიდან დაწყებული ღვინის ბოთლებში ჩამოსხმამდე ყველა ციკლს. შევქმენი სამი სახის ღვინო „გონაშვილი-1”, „გონაშვილი -2” და „გონაშვილი-3”. დამუშავების პროცესშია „გონაშვილი-4”. მონაწილეობას ვღებულობ რეს-პუბლიკურ თუ საერთაშორისო გამოფენა-დეგუსტაციებში და ყოველთვის მოწონებას იმსახურებს ჩემი ღვინოები.

-როგორც ქართველ კაცს ისე გეკითხებით, ხომ არ ფიქრობთ, რომ დაიკარგა ჩვენში ქართული სუფრის ტრადიცია?

-„ღვინოს უთქვამს-მომიარე და მოგივლიო, მხოლოდ გულმოდგინე და წესიერი მოვლით მიიღება უზადო და საღი ღვინო“.



საქართველო ვაზისა და ღვინის კლასიკური ქვეყანაა, სადაც ვაზ-ყურძნის უთვალავი ჯიშებია, სადაც ისეთ ღვინოს სვამენ, როგორც არსად, სადაც ცოცხალია მევენახეობა-მეღვინეობის არქაული წესები. იქიდან გამომდინარე, რომ ღვინის ქვეყანა ვართ, ქართულ სუფრას ოდითგან საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა, დღესდღეობით, ცხადია, არის მცდელობა, რომ დაიკარგოს ტრადიციები, ადრე ქართული სუფრის მიმართ იმხელა პატივისცემა და კრძალვა იყო, რომ ამჟამინდელი დამოკიდებულება მოსატანიც არაა. ქართული სუფრის ადათი დინჯი ქეიფი და აზრთა ჭიდილია, მასთან ერთად ბევრჯერ გადაწყვეტილა უამრავი საჭირბოროტო საკითხი, თუმცა დღევანდელ ახალგაზრდებს სუფრასთან ჯდომა გართობა, ღრეობა და ღვინით თრობა ჰგონიათ. მარნის კულტიც ამ ყველაფერთან ერთად დაიკარგა, მაგალითად, ვიცი, მრავალ ოჯახში მოიპოვება ქვევრებთან დაკავშირებული სხვადასხვა ატრიბუტიკა, თუმცა არ იციან მისი ფასი, შესაძლოა ზოგმა გადააგდოს კიდეც რომელიმე ნივთი. მე ვთხოვ მათ: ნუ მიაგდებენ გვერდზე, მომიტანონ და შევისყიდი. მათი ნივთები ჩემს მარანში ახალ სოცოცხლეს შეიძენენ. მგონია, რომ ისინი ძვირფასი თვალსაჩინოება იქნება ახალი თაობებისთვის.

- რამდენად დაფასებულია კარგი მეღვინე საქართველოში და როგორ ახერხებთ დამარკეტებული ღვინის რეალიზაციას?

-მინდა ვთქვა, რომ კარგ მეღვინეს ყოველთვის მოთხოვნა ექნება და დაფასებული იქნება, დღეს აღარ ვართ ჩაკეტილი სახელმწიფო და ევროსტანდარტებით უნდა ვიმუშაოთ, თუმცა, ქართული პროდუქციის ფასი, მაინც დაბალია, გადმოიღებ დახლზე დადებულ ევროპულ ძვირადღირებულ ღვინოს, მისი დაგემოვნების შემდეგ კი, ხვდები, რომ მთლად არც თუ კარგ პროდუქციაში გადაიხადე ამხელა თანხა. ჩვენი, ქართველების მიერ დაყენებული ღვინოები ბევრად უმჯობესია, მაგრამ მაინც იაფასიან ღვინოებად მოვიხსენიებით, რაც, რაღა თქმა უნდა, საწყენია. არადა, კვლავწარმოებისთვის და მეტი პროდუქციის დამუშავებისთვის მეტი თანხაა საჭირო, შედეგების გათვლა ძნელია, ეს საკითხი ჯერ ისევ დასალაგებელია, თუმცა, იმედს არ ვკარგავ, რომ მოგვარდება.

-ამბობენ, ნამდვილ ღვინოში სხვა არაფერი უნდა იყოს, გარდა ყურძნის წვენისაო, შორს ჩვენგან ფალსიფიცირება, მაგრამ მაინც მიკვირს, ასეთ კარგ, ნატურალურ და გემრიელ ღვინოს როგორსაც თქვენ ქმნით, როგორ ამზადებთ?

- ვაზს ყოველწუთს უნდა ეფერო, მიწა მოუთოხნო და ყურადღება არ მოაკლო, ასეთივე პროცესია ღვინის დაყენება, ვინც ღვინის ფასი იცის, ამ

(გაგრძელება გვ.6)

„ყველა ქართველი კაცი პოტენციური მეღვინეა,“–გოდერძი გონაშვილი 75 წლისაა

(მეხუთე გვერდიდან)

საქმეს არც უღალატებს. ადამიანის ხელს და გონიერებას უამრავი რამ შეუქმნია, ღვინო ერთ-ერთი სასწაულია ამ ქმნილებათა შორის. განუსაზღვრელია ქართველი კაცის შესაძლებლობები, რაც შეეხება ფალსიფიცირებას, აქ მხოლოდ ერთს ვიტყვი, ვარ „ელკანას“ წევრი, რომელიც მოწოდებულია ქვეყანაში ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებით. მათგან მიმილია მრავალი საუკეთესო რჩევები. ჩემი მიზანია, ახლო მომავალში დავამზადო და ბოთლებში ჩამოვასხა „ბიოღვინო“, ვფიქრობ ძალიან დიდი განაცხადია და ამით ჩემი ღვინის წარმოების ტექნოლოგიაზე და სისუფთავეზე უკვე ყველაფერია ნათქვამი.

- მე მახსენდება რამდენიმე წლის წინანდელი დღე, როდესაც თქვენი ღვინის მარნის გახსნასთან ერთად, დედოფლისწყაროში, კერძოდ, ამ მარანში ჩატარდა პირველი ღვინის ფესტივალი და მოეწყო ღვინოების დეგუსტაცია, ხსენებულ ღონისძიებას ვესწრებოდი და მინდა გამოგიტყდეთ, რომ მაშინ არც მოველოდი, თუ თქვენს მარანს ასეთი განვითარება ელოდა, მას შემდეგ უამარავი რამ მოხდა, მაინც რა ეტაპამდე ხართ მისული და რას გეგმავთ მომავალში?

- „ალკოჰოლური სასმელების სერთიფიკაციის წესის შესახებ“ ბრძანებით დამტკიცებული დებულებით მოთხოვნათა შესაბამისად 2015 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მომანიჭა კვოტი, ლოტის ნომერი -1177. ურთიერთობა მაქვს ტურისტულ დეპარტამენტებთან და ტურისტულ სააგენტოებთან. სტუმრად მყოლია მრავალი გამოჩენილი ადამიანი, ტურისტი სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავენ პირდაპირ ქვევრის თავზე მოწყობილ დეგუსტაციაზე. მეამაყება, ჩემს ფეისბუქზე თუ შთაბეჭდილებების წიგნში რომ იკითხება მოწონებები. შესული ვარ ჩემი ბიოგრაფიით და ფოტოილუსტრაციებით წიგნში „ქართული ღვინოების და ალკოჰოლური სასმელების მატიანეში“ და წიგნში „სამტრესტი და სამტრესტელები“. რამოდენიმეჯერ დასახელებული ვარ ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ ნომინაციებში. საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ბატონ რამიშვილის ხელმოწერით გადმომეცა სიგელი, სადაც წერია **„ქართული ღვინის ბრენდების წარმოჩინების, ამ კულტურების პრაქტიკულ-სამეცნიერო კვლევებში განსაკუთრებული ღვაწლისთვის, დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით ცნობილ მეღვინეს გოდერძი გონაშვილს მიენიჭოს დარგის ამაგდარის -საქართველოს აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება“.** დაჯილდოვებული ვარ დიდების ორდენით. მეტი რაღა ჩამოვთვალოთ?!

- რა დატვირთვა აქვს ქვევრს და ზედაშეს თქვენს მარანში?

- გარდა იმისა, რომ ღვინოებს ვაყენებ ქვევრში, ამასთან ერთად მარანში განთავსებული მაქვს სალოცავი ქვევრი „ზედაშე“, რომელიც მამა ნიკოლოზის კურთხევით ჩემი წინაპრების ნამოსახლარიდან- სოფელ არბოშიკიდან გადმოვაბრძანე. ყოველწლიურად მასში განთავსებულ ღვინოს ვწირავ ეკლესიას საბარძიმედ. ქვევრის გახსნას ყოველთვის ესწრებიან არქიმანდრიტი ნიკოლოზი, დეკანოზი პეტრე და დეკანოზი გიორგი. 2014 წელს ამ ცერემონიალს დაესწრო მეუფე მელქისედეკი, ხოლო 2015 წელს- მეუფე დიმიტრი. ქვევრი თავიდან ბოლომდე გვაახლოვებს წინაპრებთან და ყველაფერ ქართულთან, მიმაჩნია, რომ რაც უფრო მეტად შევეცდებით დავუახლოვდეთ და ახლოს ვიყოთ ჩვენს წინაპართა დანატოვარ კულტურასთან, მით მეტად უძლეველები ვიქნებით, მით გვიწყალობებს ღმერთი. ტყუილად როდის იყო წესი, რომ ჩვენი წინაპრები ქვევრთან აპურმარილებდნენ საპატიო სტუმრებს. ჩემს მარანშიც ასე ხდება და მე ეს მეამაყება.

-სად მოიწევთ თქვენი ბრენდის ღვინის დასაყენებელ ყურძენს?

-ყურძენს ვღებულობ საკუთარი ვენახიდან, ვახდენ შესყიდვებს სხვისი ვენახებიდან, და ასევე ვღებულობ მოქალაქეებიდან ყურძენს სახელშეკრულებო პირობებით. მათ ღვინოს ვუნახავ მომავალი წლის მაისის ჩათვლით.

- როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდობა გააგრძელებს ვაზის მოვლას, თუ მხოლოდ წელიწადში ერთხელ მოსაკრეფად მოისურვებენ ვენახს?

- ახალგაზრდობაში ვაზის მოვლისადმი ინტერესი ნამდვილად დაბალია, ვინც დაინტერესებას გამოთქვამს, მათი მასშტაბი ცოტაა ჩვენისთანა ერისთვის, არადა, ღვინის ქვეყანა ვართ, როგორ არ უნდა სურდეთ აკეთონ საუფლო საქმე? მინდა გითხრათ, რომ ადრე მეღვინეობაზე ჩაბარება უფრო ძნელი იყო, ვიდრე სამედიცინოზე, ახლა მეღვინეობაზე ჩაბარება აღარავის სურს, რაც ცოტა არ იყოს, მაფიქრებს.

- ალბათ უამრავი სტუმარი გწვევიათ მარანში, ვინ ყოფილა თქვენი ყველაზე ძვირფასი სტუმარი?

- აქ ჩატარებულია დეგუსტაციები ქართველი თუ ფრანგი სპეციალისტების მონაწილეობით, მოწყობილა გამოფენები, ჩემს მარანში ნამყოფები არიან ევროპარლამენტის წევრები, მსოფლიო დონის საოპერო მომღერალი ლადო ათანელი, თქვენი კოლეგა ინგა გრიგოლია და მრავალი სტუმარი თუ ტურისტი სხვადასხვა ქვეყნიდან. პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყეს ინსცენირება. „ვაზის ქორწილი“, აქვე მოხდა მსახიობების - შორენა ბეგაშვილისა და ლევან ჯიბღაშვილის ქორწილის კადრების კინოგადაღება.

-მე ამ მარანში უამრავ საინტერესო ნივთს ვხედავ, ზოგიერთი მათგანი ჩემს მამაპაპეულ მარანშიც მინახავს, რომლის სახელებიც არ ვიცი კარგად, ზოგიერთ ნივთს კი საერთოდ ვერ ვცნობ, იქნებ მოგვიყვეთ თითოეულ ნივთზე?

-ჩემი საოჯახო მარანი არ მოიცავს მხოლოდ ქვევრს, ის პატარა მუზეუმიცაა, არის სადეგუსტაციო ოთახი ბუხრით, არყის სახდელი ბარით, სპეც-ლიტერატურით. ჩემი წინაპრების და შვილების ფოტოებით, შთაბეჭდილებების წიგნით, ეთნოგრაფიული ეზოთი, სადაც განლაგებულია ქვევრები, ამბარი, თუჯის ქვაბები, ფუტკრის სკები, ცხენის გუთანი, ურმის თვლები. ქვევრების განყოფილებაში თქვენ ნახავთ: სხვადასხვა სახის და ზომის ღვინის ჭურჭელს, საწნახელს, ჩაფს, საოჯახო საქსოვ დაზგას, საჩეჩელს, რძის სადღვებელს, აკვანს, კრაზანას, ავგარდანს, ვარცლს, თაფლის სახდელ ცირკულარს, დურდოს დამრევ ჯოხებს, ტარპებს, ყურძნის საკრეფ კალათებს, ხალიჩებს. ზარფუშს(ხელით ნაქსოვი ნივთი, რაშიც ჩვენი წინაპრები სამზითვოს ალაგებდნენ), ირეშმას (ცხენის ძუით დაწნული თოკი), ყურძნის მექანიკურ საჭყლეტს, თიხის მრავალნაირ ყოფით ჭურჭელს. აქვეა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების სურათები, რომლებიც მუშაობდნენ და დღეს მუშაობენ ღვინის, კონიაკის და სხვა ალკოჰოლური სასმელების ქართული ბრენდების პოპულარიზაციაზე. გამოფენილი მაქვს პაპაჩემის, სოფელ მირზაანში ვენახის ნასყიდობის სიგელი, დამოწმებული მამასახლისის ბეჭდით, დათარიღებული 1911 წლით.

-ქართული სუფრა და თამადობის ინსტიტუტი თითქმის მოიშალა, არადა სუფრა იყო ნამდვილი აკადემია მჭერმეტყველების, სიტყვაკაზმულობის, აზრის ჭიდილის...

-საქართველო მეღვინეობის უძველესი კერაა, საქარველოში ღვინის წარმოება და ღვინოსთან დაკავშირებული ტრადიციები ათასწლეულებს ითვლის და ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, ქართველები ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით უზიარებენ სხვებს თავის ერთ-ერთ უძველეს მონაპოვარს-ვაზისა და ღვინის წარმოებას და მასთან დაკავშირებულ ტრადიციებს, ამიტომ ყველა ქართველს, განსაკუთრებით მომავალ თაობას ევალება მოუაროს ვაზს და არ უღალატოს ჩვენს ძირძველ ტრადიციას, რასაც ნამდვილი ქართული ღვინის დაყენება ჰქვია.

-დაასრულეთ ფრაზა „ღვინო არის ჭეშმარიტება“....

-კარგი ნათქვამია, ღვინო ჩვენს ტრადიციებთან იგივდება, ის თრობისთვის კი არა, ჯანსაღი ურთიერთობისთვისაა შექმნილი. ქართველმა კაცმა ვაზი უკვდავებას დაუკავშირა, ღვინომ და სუფრის ტრადიციამ ქართველი ხალხის მეობა გადაარჩინა, ეს ცნობილია და აღარ დავიწყებ მტკიცებას. ვაზის ნაჟურით ადამიანები კარგ ადამიანს ლოცავდნენ, რითაც უფრო მეტი ძალა მიეცემოდა იმ პირს, ვისაც ადღეგრძელებდნენ. დიახ, ღვინო არის ჭეშმარიტების ძირი და ფუძე.

- თქვენი ფიქრები სად ტრიალებენ ხშირად?

- ვფიქრობ ხოლმე, როგორ სიზმარივით გაირბინა განვლილმა წლებმა, ბევრი კარგი მინახავს, ბევრიც ცუდი. ცხოვრება მრავალწახნაგიანია, მაგრამ, თურმე, მთავარი ის ყოფილა - არ შედრკე, იარო მართალი ნაბიჯებით და უფალი აუცილებლად მოგცემს სიმხნევეს, რომ ჩვეული შემართებით უყურო მომავალს!

ლალი მეხრიშვილი

დენი გაძვირდა!

გაუძვირდება თუ არა დენი დედოფლისწყაროელებს?!

(პირველი გვერდიდან)

შეუმსუბუქოს და სუბსიდირებას მოახდენს. ცხადია, ეს სისტემური და გრძელვადიანი გამოსავალი არ არის. ხალხს უნდა ჰქონდეს იმდენი შემოსავალი, რომ გაძვირებული ტარიფი საკუთარი ჯიბიდან გადაიხადოს. სახელმწიფო ყველას ვერ შეეხიდება, ამიტომ გაიზრდება სოციალური რისკი და დასაქმებულებისთვისაც კი ტარიფი მძიმე გახდება", - აცხადებს გია ხუხაშვილი.

ელექტროენერგიაზე ფასის მატების თაობაზე საკუთარი მოსაზრება აქვს ექსპერტ დემურ გიორხელიძეს, რომელსაც მიაჩნია, რომ დენის ტარიფის ზრდა იმ ძალების ინტერესს წარმოადგენს, ვინც დიდი ხანია, ამ სფეროში მუშაობს.

- ენერგეტიკაში სემეკის მიერ სიცრუეზე აგებულ არგუმენტებზე მე დიდი ხანია ვსაუბრობ. სემეკი ასრულებს დავალებას - ახლა არ დამიწყოს ვინმემ მტკიცება, რომ სემეკი დამოუკიდებელია და თავად იღებს გადაწყვეტილებებს. ენერგომაფიას მთავრობასა და ხელისუფლებაში სერიოზული ლობი ჰყავს და ტარიფების ზრდაც მათი ინტერესების შესაბამისად ხდება! ტარიფების ზრდა კიდევ უფრო დაარტყამს ეკონომიკას, შეზღუდავს მცირე და საშუალო ბიზნესს და ეს სულ მალე, ნლის ბოლომდე აუცილებლად გამოჩნდება.

ასე რომ, ის შავგნელი პერიოდი, რომელიც ენერგეტიკაში შევარდნაძის დროს დაიწყო, კვლავ გრძელდება, რადგან ენერგოსფეროში მაშინდელი ყველა აქტორი კვლავ სერიოზულ პოზიციებს ინარჩუნებს. მათ კარგად იციან თუ როგორ უნდა ძარცვონ საკუთარი მოსახლეობა. ამ სიტუაციაში სემეკი უსუსურად გამოიყურება და ვფიქრობ, რომ იგი სულ უფრო ემსგავსება წურბელა ორგანიზაციას.

- რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ქვეყანაში შევარდნაძისდროინდელი ენერგომაფია პოზიციებს კვლავ ინარჩუნებს?

- ამის თქმის საფუძველს მაძლევს ენერგოტარიფები, ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკა, განცხადებები იმის შესახებ, რომ ეკონომიკა თითქოს იზრდება, ეკონომიკაში ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება და ჩვენ უნდა ვაშენოთ ჰესები და შემდეგ ეს ყველაფერი უნდა გავყიდოთ თურქეთში, თითქოს ეს მაღალტექნოლოგიური ნაწარმი იყოს და ჩვენი რესურსებით ვემსახუროთ თურქეთის ეკონომიკას.

თბილისი ძალიან პატარა ქალაქია, ყველას ყველაფერზე ინფორმაცია გააჩნია. ტარიფების მომატების არავითარი საჭიროება არ არსებობდა. თუ რომელიმე კომპანია ვერ უვლის თავის საქმეს, გაკოტრებულია და როგორც სემეკის თავმჯდომარემ თქვა, რომ მათ უარყოფითი ბალანსი გაუჩნდებოდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიამ არ იცის შექმნილ ვითარებაში როგორ უნდა იმოქმედოს, შეიძლება გაკოტრდეს და მას ახალი მფლობელები დაეპატრონონ. რამდენ პრივილეგირებულ ენერგოჯგუფს საკუთარ ბიზნესში პრობლემა გაუჩნდება, იმდენჯერ მთავრობა ტარიფების ზრადზე მიდიოდეს, ამას ჰქვია ის, რასაც მე ვუწოდებ ენერგომაფიას, რომელსაც ხელისუფლებაზე სერიოზული გავლენა აქვს.

- მას **შემდეგ რაც სემეკმა თავის გადაწყვეტილება გაასაჯაროა, ხელისუფლებამ სოციალურად დაუცველებისათვის ელექტროენერგიის მომატებული გადასახადის სუბსიდირების რამდენიმე სქემაზე დაიწყო საუბარი. ჯერ საბოლო გადაწყვეტილებები არ არის მიღებული. თქვენი აზრით, სოციალურად დაუცველთათვის ელექტროენერგიის გადასახადის რა ფორმა იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური?**

- ამის თაობაზე მე ჯერ კიდევ ორწელწადნახევრის წინ ვწერდი, როდესაც ახლადმოსული ხელისუფლება 2013 წლის იანვართებერვალში აპირებდა ტარიფების გაზრდას, როცა არაერთმა მაღალჩინოსანმა არაერთი სულელური განცხადება გააკეთა, - რომ მათ არჩევნების წინ დათვლა შეეშალათ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მაშინაც და შემდეგაც ამ სფეროში რეფორმა უნდა გაკეთებულიყო ტარიფების მიუხედავად. უნდა არსებობდეს ერთიანი ტარიფი, მაგალითად, 12 თეთრი და მაშინ სოციალურად დაუცველებს შეიძლება გაეწიოთ სოციალური დახმარება, მაგრამ მოსახლეობის ეს ჯგუფი მკაცრად იდენტიფიცირებული უნდა იყოს. და არა ისე, როგორც ახლა გეგმავენ სუბსიდიებით პოპულისტურად მოქმედებას.

- ენერგეტიკა და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება ნებისმიერი სახელმწიფოსა და ქვეყნის ეკონომიკის გამართული ფუნქციონირების საფუძველია. წინა ხელისუფლებას დღევანდელი მმართველი გუნდი რუსული კომპანიებისათვის ჰესების მიყიდვას ედავებოდა. საქმეში ჩახედული ხალხის მტკიცებით, ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა, მეტიც - ხშირ შემთხვევაში საერთოდ გაუგებარია, ვინ აშენებს ჰესებს საქართველოში. ამ თემაზე თუ გაქვთ მონაცემები? ის მაინც თუ ვიცით, რეალურად ვინ აშენებს ჰუდონჰესსა და აჭარაში მშენებარე ჰესებს, რომელთა აშენებას ადგილობრივები ხმაურიანად აპროტესტებენ?

- მე მაინტერესებს ზოგადი მდგომარეობა და არა ცალკეული ადამიანის ქმედება. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია უცნობი ვერ იქნება, დაახლოებით ცნობილია თქვენს მიერ ნახსენები ჰესების მშენებლები. უფრო დაზუსტებით ამ იმფორმაციის საჯარო რეესტრში მოძიება შეიძლება და შემდეგ შეიძლება იმის ანალიზი, ეს ფირმები უშუალოდ რას აკეთებენ.

ჩვენთვის მთავარია ენერგეტიკული პოლიტიკა ეკონომიკურ პოლიტიკაზე იყოს მიბმული. როცა ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვული არაა, ცალკე ენერგეტიკაზე საუბარი უაზროობაა – იმიტომ, რომ ენერგეტიკის განვითარება არ შეიძლება ეკონომიკის განვითარების ტემპზე უფრო სწრაფი იყოს. დღეს გამომუშავებული ელექტროენერგიის 80%-ს მოიხმარს მოსახლეობა, ხოლო ეკონომიკა მოიხმარს მხოლოდ 20%-ს. ეკონომიკის რომელ ზრდაზეა საუბარი? დეინდუსტრიალიზებული და განადგურებული ეკონომიკა ისეთი პროპორციით იყენებს ელექტროენერგიას, რომლის მსგავსი პროპორცია მსოფლიოში არ არის, მათ შორის არც აფრიკის ქვეყნებში. ვითარებაში, როცა ქვეყანას ძალიან უჭირს და ეკონომიკური მდგომარეობა საკმარისად დაძაბულია, ტყუილი ძალიან მძიმე მოსასმენია.

- ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან ყველამ ვიცოდით, რომ საქართველოში მთის მდინარეების სიმრავლის გამო მცირე, დიდი და საშუალო ზომის უამრავი ჰესის მშენებლობა იყო შესაძლებელი და საქართველოს შეეძლო იმაზე გაცილებით მეტი ელექტროენერგიის გაყიდვა, ვიდრე მოიხმარდა. საბჭოთა წარსული კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ გაუგებარია, ქართველი ბიზნესმენები რატომ არ კიდებენ ხელს ჰესების მშენებლობას? არავის არ ვერჩი, მაგრამ გაუგებარია ჩვენთან ჰესები მარტო ჩინელებმა, რუსებმა, ან სხვამ რატომ უნდა ააშენოს...

- საქმე ისაა, რომ ენერგეტიკა, როგორც იტყვიან, "ტორდადებული" სფეროა. იმ ქვეყანაში, სადაც კვაზი საბაზრო ეკონომიკაა, იქ სადაც ხელისუფლებაში ყოფნა ბიზნესების გადალაგებისა და ბიზნესში საკუთარი ინტერესების დალაგების უნიკალური საშუალებაა, სადაც პოლიტიკაა საუკეთესო ბიზნესი, იქ თავისუფალი მეწარმეობა ვერ განვითარდება და არც ვითარდება. ჩვენთან თავისუფალ მეწარმეს რომელიმე სფეროში შესვლა ასე

იოლად არ შეუძლია. ის მიზეზები, რის გამოც ქვეყანა ასეა, ძალიან ფუნდამენტური პრობლემებითაა გამოწვეული. მათ შორის არის მართვის სფეროში არსებული პრობლემები - ჩვენი საბაზრო ეკონომიკის, რომელიც საბჭოთა ეკონომიკის ნაზავია, მართვა არ არის წასული ძალიან შორს საბჭოთა სისტემისგან და გარდა ამისა, რეალურ ეკონომიკაში საბაზრო ეკონომიკის ფრაზეოლოგია მხოლოდ სავაჭრო მსჯელობისას გამოიყენება.

- ამას წინათ კონკურენციის სააგენტომ 5 მსხვილი ნავთობიმპორტიორი კომპანია სერიოზული თანხებით დააჯარიმა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები გადადგა იმისათვის, რომ ბაზარი არავის მხრიდან არ იყოს მონოპოლიზებული. საუბარია იმაზე, რომ კვლევის ანალოგიურ ანგარიშს კონკურენციის სააგენტო სხვა სფეროებში არსებულ ვითარებაზეც გამოაქვეყნებს. არჩევნებამდე "ქართული ოცნება" მონოპოლიების წინააღმდეგ საკმაოდ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდა. მალე სამი წელი გახდება, რაც მმართველი გუნდი ხელისუფლებაშია. თქვენი აზრით, რამდენად წარმატებულია ხელისუფლების ბრძოლა მონოპოლიების წინააღმდეგ - თუ ენერგეტიკაში არა, სხვა სფეროებში მაინც?

- თამაშის წესებს ან აწესებ მთლიანობაში - ეკონომიკაში, საშინაო პოლიტიკაში, ანუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ან თამაშის წესები შერჩევითია და გვაქვს ის სიტუაცია, რაც ქვეყანაშია. მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიური ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი ჯერჯერობით ნულოვანია. ერთადერთი დადებითი გამოვლენა არის მიძინებული კონკურენციის სააგენტოს დასკვნა კარტელური გარიგებების შესახებ ნავთობის რეალიზატორთა სფეროში. ეს ამბავი დიდი ხანია ცნობილი იყო, ამის თაობაზე მეც არაერთხელ მისაუბრია.

საქმე ისაა, რომ ეს პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. რამდენად წარმატებით დასრულდება იგი, ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ახლა მთავრობა საკმაოდ რთულ ვითარებაშია, თუ მან სასამართლოში წააგო პროცესი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მას არ ყოფნის სერიოზული მონდომება და არა აქვს სერიოზული პოლიტიკური ნება იმისათვის, რომ ბიზნესს მიანიშნოს - მთავრობა არ ხუმრობს, ყველასთვის თამაშის ერთიანი წესები იქნება და აქ ოლიგოპოლიური ჯგუფები მთავრობასა და მოსახლეობას ვერ შესთავაზებენ იმ ფასებს, რომლითაც მათ მოსახლეობის ძარცვის საშუალება ექნებათ.

თუ ეს მოხდა, მთავრობა სწორად და საფუძვლიანად დადგა თავის პოზიციაზე და გააგრძელა ეს ხაზი, მაშინ ჩვენ უნდა მივხვდეთ იმას, რომ ამ თვალსაზრისით მთავრობას, მართლაც, სერიოზული რამ აქვს ჩაფიქრებული და ჩვენ ამას მხოლოდ უნდა მივესალმოთ. მოკლედ, ეს გადაწყვეტილება ბეწვის ხიდზე ჰკიდია. როგორც ვთქვი, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, მთავრობა სასამართლოში ამ პროცესს წააგებს თუ მოიგებს.

- მალე მსოფლიო ბაზარზე ირანი თავის ნავთობსა და გაზს შეიტანს. ბევრი საუბარი მოგვისმენია საქართველოს გავლით ირანული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებაზე. თეირანი მზდაა ევროპას მიაწოდოს თავისი ნავთობი და გაზი. თქვენი ინფორმაციით, ამ თვალსაზრისით თუ იდგმება ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ნაბიჯები და დღეს რეალურად რაზე შეიძლება იყოს მსჯელობა?

- არ ვიცი ამ საკითხზე ხელისუფლებაში რას ფიქრობენ. ირანისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნა ნამდვილად მისასალმებელი საქმეა, რაც შეეხება ირანისა და კასპიის ნავთობის ევროპისკენ ტრანზიტს, ეს ისე არ მოხდება, როგორც საქართველოში ე.წ. პოლიტიკოსები, ანუ ვაიპოლიტიკოსები ფიქრობენ. კონფრონტაციულ რეჟიმში არც ერთი მსოფლიო დონის პროექტი ვერ განხორციელდება, რადგან დაპირისპირება მსოფლიოს მთავარ მოთამაშეებს შორის კასპიისა და ირანის ნავთობის ევროპაში მარშუტებსა და სწორედ ამ ენერგორესურსებზე კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზეა დამოკიდებული. ჯერ ეს თემები არც შეთანხმებული და არც დაბალანსებული არ არის. ამიტომ, საქართველო ვერანაირ პროექტში ვერ მიიღებს მონაწილეობას, თუ მსოფლიოს მთავარი მოთამაშეები არ შეთანხმდებიან და ინტერესთა ბალანსი არ შედგება.

- მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულია, პოლიტიკურ პროცესს არ ეტყობა, რომ საზაფხულო არდადეგები კარგა ხანია დაწყებულია. საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი და აქტუალური თემა ბევრია, მაგრამ თქვენ რაზე გაამახვილებდით ყურადღებას?

- ყველაზე საშინელი რაც არის, ეს გახლავთ ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსების მხრიდან არასერიოზული შეფასებები და დემაგოგიური განცხადებები იმ მცოცავ ანექსიაზე რომელსაც რუსეთი ახორციელებს და რომელიც ყველაზე საშიშია. ეს იმაზე უფრო საშიში პროცესია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. რაც ხდება, შეუსაბამო პოლიტიკაა, ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ ჩვენს მეგობარ ქვეყნებთან ერთად არ ვმუშაობთ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე. საქართველოს უსაფრთხოება გამორიცხულია თუ რუსეთიდან საფრთხე შენარჩუნებული იქნება. შესაძლოა ეს საფრთხე ქართული სახელმწიფოსთვის მომაკვდინებელი საფრთხე იყოს, რადგან ძირითად მოთამაშეებს შორის შეუთანხმებლობა, უდიდესი კონკურენციაა და გეოსტრატეგიული პარადიგმების დაპირისპირებას უკავშირდება.

ამ თემაზე, ჰარი-ჰარალე, კომკავშირული განცხადებები, რასაც ჩვენ ჩვენივე ვაიპოლიტიკოსებიდან ვისმენთ, ქვეყანას გაცილებით უფრო დიდი საშიშროებისაკენ მიაქანებს. ყოველი გადმოწეული მეტრი ძალიან მძიმედ დასაბრუნებელი იქნება და დღეის მდგომარეობით საქართველოს არანაირი შანსი არ გააჩნია. თუ მომავალში გაჩნდება და ასეთი პოლიტიკა იქნა, მაშინ ფასიც არანორმალურად დიდი იქნება გადასახდელი, რომელიც საერთოდ შეზღუდავს ქართული პოლიტიკის თავისუფლების ხარისხს.

ქვეყანაში თითქმის ყველა რეგიონს 1 აგვისტოდან დენი უძვირდება, შეეხება თუ არა ეს ტენდენცია დედოფლისწყაროს? როგორც ჩვენთან საუბრისას „კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის" უფროსმა ივანე გიგოლაშვილმა განაცხადა, „კახეთის ენერგოდისტრიბუცია კვლავ გაკოტრების რეჟიმში იმყოფება, ამ რეჟიმიდან გამოსვლის შემდეგ კი ის სახელმწიფოს მფლობელობაში გადავა. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ დედოფლისწყაროელებს ელექტროენერგიის მოხმარებისას კვლავ ძველი ტარიფით გადახდა მოუწევთ".

ინგა შიოლაშვილი

მეუღლე: მედიკო კობაიძე; შვილები: ეთერი, დათო. შვილიშვილები: მედეა, მადონა პოპიაშვილები, ოთო და მარი ფერიაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ამირან პოპიაშვილი

დაიკრძალა 25 ივლისს. სოფ. გამარჯვებაში.

პროექტი სკოლის მოსწავლეებისთვის

„დედოფლისწყარო: ჩემი სამშობლო-ჩემი კუთხე“

დედოფლისწყაროს სათემო ორგანიზაცია „ხორნაბუჯი“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად ახალ პროექტს ახორციელებს, რომელიც ჩვენს რაიონში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობებისთვისაა განკუთვნილი და მათი თვითმყოფადობის, კულტურისა და ყოფის წარმოჩენას ისახავს მიზნად. პროექტის მიზნებზე უფრო დეტალურად სათემო ორგანიზაცია „ხორნაბუჯის“ ხელმძღვანელი მანანა ყატაშვილი გვესაუბრება:

-ა(ა)იპ დედოფლისწყაროს სათემო ორგანიზაცია „ხორნაბუჯი“ ა(ა)იპ „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი კავკასიური სახლის“ დაფინანსებით დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად აცხადებს შემოქმედებით კონკურსს „დედოფლისწყარო: ჩემი სამშობლო-ჩემი კუთხე“ მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის.

-პროექტი ასაკობრივ შეზღუდვას თუ ითვალისწინებს?

-არა, მთავარი მოთხოვნაა, რომ პროექტში ჩართული პირი სკოლის მოსწავლე იყოს. სხვა შეზღუდვა არ მოქმედებს.

-რა სახის ნამუშევრების წარდგენა შეუძლიათ მონაწილეებს?

-კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრები უნდა ასახავდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მრავალეროვანი მოსახლეობის სხვადასხვა ეროვნების ხალხთა თვითმყოფადობას, მათ ისტორიას, ცხოვრებას, ეროვნულ თავისებურებებს და ტრადიციებს, ურთიერთობას სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან.

კონკურსზე შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი სახის და ჟანრის (მათ შორის, ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი, ხელნაკეთი ნივთი, აპლიკაცია, ნაქარგი, ნაქსოვი და სხვა.) ნამუშევარი. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ მოიძიონ ამბები, ფაქტები, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა, ნაციონალური ტანსაცმლის და საოჯახო ნივთების ნიმუშები, საინტერესო თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრები თავიანთი ხალხის ისტორიიდან, საინტერესო ადამიანების ცხოვრების ამსახველი მასალები, ტრადიციული საკვების რეცეპტები და ფოტოები. გააკეთონ შესაბამისი დოკუმენტური ჩანაწერები (მათ შორის, ვიდეო და აუდიო), შეაგროვონ და წარმოადგინონ ძველი და ახალი საოჯახო და სხვა ფოტოსურათები თანდართული ისტორიებით. წარმოდგენილი მასალა გამოიფინება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და განთავსდება ვებგვერდზე: www.ngokhornabuji.wordpress.com

-რა ენაზე უნდა წარმოადგინონ ნამუშევრები მონაწილეებმა?

-ნამუშევრები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულად ან სხვა ენაზე სათანადო განმარტებებით.

-როდისაა ნამუშევრების წარგდენის ბოლო ვადა და სად შეეძლებათ პროექტში მონაწილეობის მსურველებს მათი წარმოდგენა?

-ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 8 სექტემბრის 15.00.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, 9 ძმის ქ. N10, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მათ შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ საკონტაქტო პირებს, ჩვენ მათ ყველა კითხვაზე ამომწურავ ინფორმაციას მივცემთ:

მანანა ყატაშვილი- 599572 842,

ლალი გურასპაული - 595 090 774

კონკურსის შედეგების შეჯამება მოხდება 2015 წლის 14 სექტემბერს.

კონკურსის გამარჯვებული მონაწილეები დაჯილდოვდებიან.

ინგა შიოლაშვილი

გოჩა კეკიშვილის მორიგი რეკორდი

თბილისში, პარასპორტის განვითარების ცენტრში „კავკასიის მსოფლიო რეკორდების ფედერაციისა“ და სპორტულ კლუბ „რეკორდის“ ორგანიზებით მსოფლიოს ხუთგზის რეკორდსმენმა 47 წლის გოჩა კეკიშვილმა გინესის რეკორდი მეექვსედ დაამყარა.

ასპარეზობის მიზანი იყო, ათლეტს ორივე ხელით 40 კილოგრამიანი გირის ერთდროულად აზიდვა ორი საათის განმავლობაში შეესრულებინა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ამ სახეობაში რეკორდი ინგლისელმა ათლეტმა რამდენიმე წლის წინ მოხსნა. მათი მონაცემებით, ორი საათის განმავლობაში მაქსიმალური მაჩვენებელი 876 მოძრაობით განისაზღვრა.

დედოფლისწყაროელმა რეკორდსმენმა გოჩა კეკიშვილმა ამჯერადაც რეკორდი წარმატებით მოხსნა და ორ საათში 1 040 მოძრაობა შეასრულა.

როგორც ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, პროცესი მსოფლიო გინესის რეკორდების მაფიქსირებელი ფედერაციის წარმომადგენლების მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა. გოჩა კეკიშვილის მიერ მიღწეული შედეგი გერმანიასა და ინგლისში გაიგზავნება, ასევე ახლო მომავალში ჩინეთში დაგეგმილ გინესის შოუზე გაჟღერდება.

დარბაზში კრივის დამსახურებული მწვრთნელი სამსონ წინამძღვრიშვილიც იმყოფებოდა, რომელმაც ჩვენთან საუბრისას გოჩა კეკიშვილის შესაძლებლობებს ხაზი გაუსვა და აღნიშნა, რომ მას არანაირი პირობები არ აქვს მოსამზადებლად.

„დამიჯერეთ ასეთ მაგიდაზე ამ რეკორდის შესრულება არ შეიძლებოდა, წელი ეტკინა და მაინც საუკეთესო შედეგი აჩვენა. სამწუხაროდ, ორგანიზატორებმა და სპონსორებმა შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა ვერ მოახერხეს. ამ ადამიანს არც სავარჯიშო პირობები აქვს და ფინანსური სიდუხჭირის გამო არც შესაბამისი კვება. ის უცხოელი პროფესიონალები, რომლებიც გამოდიან და შედეგებს დებენ, დოპინგსაც მოიხმარენ და ათასგვარ საკვებდანამატებს იყენებენ, გოჩა კი სათანადო კვებასაც მოკლებულია. დღეს სასწაული მოხდა, მე ოცი წლის განმავლობაში ევროპაში ვცხოვრობდი და ვიცი, რა პირობებში მუშაობენ და ვარჯიშობენ სპორტსმენები, მან კი ცარიელი ხელებით მიაღწია, რაც თავის მხრივ დასაფასებელია,“ - აღნიშნა სამსონ წინამძღვრიშვილმა.

„საუკეთესო შედეგი აჩვენა გოჩამ, მსოფლიოში ეს მაჩვენებელი უნიკალურია და რა თქმა უნდა ვულოცავ მას. ძალიან საინტერესოდ წარიმართა პროცესი.

მითუმეტეს, რომ მას ტრავმა ჰქონდა და მოახერხა მისი დაძლევა. იმკურნალა და არ გაჭირვებია შედეგის დადება. ამას გარდა, თბილისის მერიამ მხარი დაუჭირა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი სპონსორობით მოხერხდა ამ შედეგის მიღწევა. რომ არა სპონსორები და მათი თანადგომა, ფინანსური პრობლემების გამო გოჩა ვერ მოახერხებდა დღეს ამ დარბაზში ძალების მოსინჯვას. ყველაფრის მიუხედავად, ძალიან შემართებითაა, კიდევ უამრავი საინტერესო პროექტი და გეგმა აქვს. შედეგებს გავაგზავნით და დაველოდებით მათ აღიარებას. პირადად მე სულ მალე ჩინეთში გინესის შოუზე გავემგზავრები და ცხადია, იქაც მოხდება ამ შედეგის გამოცხადება,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ კლუბ „რეკორდის“ ხელმძღვანელმა, ორგანიზატორმა შოთა ქელდიშვილმა.

47 წლის გოჩა კეკიშვილი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროდანაა. 1 წლის წინ მან დედოფლისწყაროშიც მოხსნა რეკორდი. მან ერთი საათის განმავლობაში 40კილოგრამიანი გირი 1078-ჯერ აწია. მანამდე არსებული რეკორდი კი 850 აზიდვა იყო.

სოციალურად დაუცველი რეკორდსმენი — რომელმაც გინესის რეკორდი ექვსჯერ მოხსნა, ფინანსური პრობლემების დაძლევას ვერ ახერხებს... მისი ერთადერთი შემოსავალი საარსებო შემწეობაა, რომელსაც სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იღებს.

„მეექვსედ დავამყარე მსოფლიო რეკორდი და ჩემი დღევანდელი მონაცემები გინესის რეკორდების წიგნის ნორმატივებს სრულიად აკმაყოფილებს. მზად ვარ და მაქვს რეზერვები რეკორდების სხვადასხვა სახეობებში. დაახლოებით ერთ თვეში, თუკი მოხერხდება სპონსორების მოძიება, ან სახელმწიფო გვერდით დამიდგება და დამაფინანსებს, ფიზიკურად მომზადებული ვარ საიმისოდ, რომ მეშვიდე რეკორდი მოვხსნა ერთ ხელზე ხუთი საათის განმავლობაში ე.წ. აჯიმანიებზე. მე იმის საშუალება და ფინანსები არ მაქვს, რომ დამოუკიდებლად მოვემზადო, თუ დაფინანსება იქნება, მზად ვარ,“ - აღნიშნავს გოჩა კეკიშვილი.

უკვე ექვსგზის მსოფლიო გინესის რეკორდსმენი ახალ-ახალ რეკორდებს ხსნის, წელს ეს უკვე მისი მეორე შედეგია, თუმცა სამწუხაროდ, ამ მასშტაბის სირთულეების დაძლევა მის ფინანსურ მდგომარეობას ვერ ცვლის და კვლავაც სოციალურად დაუცველის სტატუსით ყოველთვიური საარსებო შემწეობაა მისი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავ!

ნიკოლოზ ლორაკუდაშვილს

ქეთევან გონაშვილს

ჩემო კარგებო, გილოცავთ მეორე შვილის დემეტრეს დაბადებას. გისურვებთ, რომ ბედნიერი მშობლები ყოფილიყავით თქვენი ქალ-ვაჟით. პატარა დემეტრეს კი ვუსურვებ ჯამთელობას და უფლის წყალობას.

დიდი ბებია
ლია ტოკლიკიშვილი
ზემო მაჩხაანი

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 27.07		სამშაბათი 28.07		ოთხშაბათი 29.07		ხუთშაბათი 30.07		პარასკევი 31.07		შაბათი 01.08		კვირა 02.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
26 °	22 °	27 °	25 °	28 °	26 °	27 °	26 °	29 °	27 °	29 °	28 °	30 °	28 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K